



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულოს თავმჯდომარე**



ბრძანება: **ბ49. 49252822**

თარიღი: **09/10/2025**

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს**  
**რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის გია კვასტიანის წინადადება საკრებულოს სხდომაზე საკითხების განხილვისა და რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ. ვინაიდან წერილში მითითებული საკითხები არის საკრებულოს კვარტალური სამუშაო გეგმით გაუთვალისწინებელი საკითხები, რომლებიც საჭიროებს სასწრაფოდ განხილვას, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 51-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,  
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. 2025 წლის 10 ოქტომბერს, 13:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მ/შემსრულებლის წინადადების საფუძველზე, მოწვეული იქნეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:
  - 1) „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
  - 2) „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ გაფორმებული ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.
2. საკრებულოს აპარატმა უზრუნველყოს:
  - ა) ბრძანების გამოქვეყნება;
  - ბ) საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა;
  - გ) საკრებულოს წევრთა რეგისტრაცია 12:30 საათიდან.
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს აპარატის

უფროსს გელა თათარაშვილს.

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-  
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი

